

## საქართველოს კანონი

### კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ

ეს კანონი არეგულირებს კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და პირობებს, ორგანიზაციულ ფორმებსა და სახეებს.

#### I. ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი განსაზღვრავს:

- ა) კერძო დაცვითი საქმიანობის ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს;
- ბ) კერძო დაცვითი საქმიანობის ლიცენზირების, ასევე ნებართვების გაცემის წესსა და პირობებს;
- გ) კერძო დაცვითი ორგანიზაციის და მცველის უფლება-მოვალეობებს;
- დ) კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელებაზე კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს;
- ე) პასუხისმგებლობის ზომებს;
- ვ) და სხვა საკითხებს.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- ა) იმ დაცვით საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოს ან/და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ;
- ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული ნივთის ან ცალკეული ღონისძიებების დაცვაზე, რომელსაც უშუალოდ ახორციელებს აღნიშნული ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

##### მუხლი 2 ტერმინთა განმარტებანი

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კერძო დაცვითი საქმიანობა** (შემდგომში - დაცვითი საქმიანობა) ლიცენზირებადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება:

ა.ა) სახელშეკრულებო საფუძველზე და რომელიც მიმართულია ადამიანის, უძრავი ან მოძრავი ნივთის (მათ შორის, მოძრავი ნივთის ტრანსპორტირების), აგრეთვე ცალკეული სახის ღონისძიებების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ და დაცვისაკენ;

- ა.ბ) სახელშეკრულებო საფუძველზე და რომელიც მოიცავს დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟს და საექსპლოატაციო მომსახურებას;
- ბ) **დაცვის ობიექტი** – ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, უძრავი ან მოძრავი ნივთი და ცალკეული ღონისძიება, რომლის დაცვას უზრუნველყოფს კერძო დაცვითი ორგანიზაცია;
- გ) **კერძო დაცვითი ორგანიზაცია** (შემდგომში – დაცვითი ორგანიზაცია) – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც აქვს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით და ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია;
- დ) **დამკვეთი** – ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც დაცვით ორგანიზაციას გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უკვეთავს ობიექტის დაცვას;
- ე) **დაცვა** – ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია დაცვის ობიექტის შესაძლო ხელყოფის საფრთხეების აღმოჩენის და აღმოფხვრისაკენ;
- ვ) **დაცვითი ტექნიკური საშუალებები** – დაცვის ობიექტის თვალთვალის ტექნიკური საშუალებები ან/და საგანგაშო სიგნალიზაციის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის დაცვას;
- ზ) **მცველი** - 18 წელს მიღწეული, შერაცხადი და ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ობიექტის დაცვას და რომელზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაცემულია მცველის მოწმობა. მცველის მოწმობის ფორმას, საფასურს ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მისგან უფლებამოსილი პირი;
- თ) **დაცვითი საქმიანობის ლიცენზია** (შემდგომში - ლიცენზია) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონის მე-4 მუხლის I პუნქტით განსაზღვრული რომელიმე დაცვითი საქმიანობის განხორციელების უფლებას;
- ი) **ნებართვა** (შემდგომში - ნებართვა) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ცალკეული უძრავი ნივთის, ღონისძიებების ან ფიზიკური პირის (მათ შორის ფიზიკურ პირთა ჯგუფის) დაცვის, ცალკეულ ობიექტებზე დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლოატაციო მომსახურების უფლებას;
- კ) **ლიცენზიის გამცემი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (სპეციალურად შექმნილი კომისიის მეშვეობით);
- ლ) **ნებართვის გამცემი** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი;
- მ) **ლიცენზიის მაძიებელი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც სურს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით და ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი სახის საქმიანობის ლიცენზიის აღება;
- ნ) **ნებართვის მაძიებელი** – დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი დაცვითი ორგანიზაცია, რომელსაც სურს ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი ნებართვის აღება;
- ო) **იარაღი** – გაზის, პნევმატური და ცივი იარაღი;
- პ) **სპეციალური საშუალებები** – ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება,

სატრანსპორტო საშუალება, წყალსატყორცნი, ელექტრომოკური მოწყობილობა, სასამსახურო ძაღლი, ინდივიდუალური კონტროლის ტექნიკური საშუალებები;

**ჟ) მოკვლევის აქტი** – კონკრეტული ობიექტის დაცვითი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელსაც განსაზღვრავს დაცვის სამსახური დამკვეთთან შეთანხმებით. მოკვლევის აქტი უნდა მოიცავდეს დაცვის ობიექტის არსებულ მდგომარეობას, დაცვის საშუალებათა ჩამონათვალს, დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო ძაღლების სამუშაო პირობებსა და რეჟიმს;

**რ) უძრავი ნივთი** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით განსაზღვრული უძრავი ნივთი, აგრეთვე ხაზობრივი ნაგებობა და მშენებარე ობიექტი.

## **II. დაცვითი საქმიანობის ლიცენზირება**

### **მუხლი 3. დაცვითი საქმიანობის განხორციელების უფლება**

1. დაცვითი საქმიანობის განხორციელების უფლება წარმოიშობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით და ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიის ადების საფუძველზე.
2. დაცვითი საქმიანობის ლიცენზირების, სალიცენზიო რეესტრის წარმოების, აგრეთვე ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის, მისი შეჩერების და გაუქმების წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონით და ამ კანონით.

### **მუხლი 4. დაცვითი საქმიანობის ლიცენზია**

1. დაცვითი საქმიანობის ლიცენზია გაიცემა - ადამიანის, უძრავი და მოძრავი ნივთის, აგრეთვე ცალკეული სახის ღონისძიების დაცვის, დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლუატაციო მომსახურებისათვის.
2. სალიცენზიო მოწმობის ფორმას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.
3. დაცვითი საქმიანობის ლიცენზია გაიცემა 2 წლის ვადით.

### **მუხლი 5. ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

1. მაძიებელმა ლიცენზიის მისაღებად „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად ლიცენზიის გამცემს უნდა წარუდგინოს:
  - ა) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის წესდება, რომელშიც ორგანიზაციის საქმიანობის სფეროდ განსაზღვრული იქნება მხოლოდ დაცვითი საქმიანობის განხორციელება;
  - ბ) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების):
    - ბ.ა) პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
    - ბ.ბ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
    - ბ.გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა;
  - გ) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის დამფუძნებლების სია, რომელსაც თან უნდა დაერთოს პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი

- მოწმობის/პასპორტის ასლი და თუ ლიცენზიის მაძიებელი პირის დამფუძნებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეა აგრეთვე – იმ ქვეყნის ოფიციალური ორგანოების მიერ გაცემული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული პირის ნასამართლობაში არყოფნის ფაქტს;
- დ) ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის ფინანსური, ქონებრივი (მათ შორის, საქმიანობისთვის საჭირო ფართის) და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც ადასტურებს დაცვითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას;
- ე) კერძო დაცვითი ორგანიზაციის მიერ დამკვეთისთვის მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად საბანკო გარანტია არანაკლებ 500 000 ლარზე;
- ვ) მცველის სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლის ესკიზები, რომელსაც ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში ამტკიცებს ლიცენზიის გამცემი ორგანო;
- ზ) ცნობა საგადასახადო ორგანოებიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;
- თ) ცნობა ყადაღის შესახებ – ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე;
- ი) 500 ლარის ოდენობის მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომელიც გადაიხდება სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე.
2. ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული ლიცენზიის სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრება – საქართველოს კანონით სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ.

### **მუხლი 6. ლიცენზიის გაცემის პროცედურა**

1. ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად.
2. ლიცენზირების ორგანო უფლებამოსილია ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობის ლიცენზიის გაცემისას გაზარდოს ადმინისტრაციული წარმოების ვადა 3 თვემდე, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი.

### **მუხლი 7. სალიცენზიო პირობების ადგილზე შემოწმება**

1. სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ლიცენზიის გამცემი, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ლიცენზიის გამცემის მოთხოვნით, უფლებამოსილი არიან, ადგილზე შეამოწმონ ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზიის მფლობელის სალიცენზიო პირობები.
2. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია, შეამოწმოს ლიცენზიის მფლობელი, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ლიცენზიის მფლობელის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონითა და ამ კანონით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობების დარღვევის თაობაზე.

### **მუხლი 8. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები**

1. ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;

ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;

გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება;

დ) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის 30 %-ზე მეტი ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან/და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირს (გაერთიანებას);

ე) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის ხელმძღვანელი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის 22-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების), დამფუძნებლების ან წევრების მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს ინფორმაცია აღნიშნული პირების ტერორისტულ ორგანიზაციასთან (ტერორისტთან), უკანონო შეიარაღებულ ფორმირებასთან ან სხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან (მათ შორის ქურდულ სამყაროსთან) კავშირის შესახებ;

ზ) ლიცენზია გაუქმდა დაცვითი ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის გამო და მისი გაუქმებიდან არ არის გასული 5 წელი.

2. ლიცენზიის გაცემაზე ლიცენზიის გამცემის უარი ლიცენზიის მაძიებელმა შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 9. ლიცენზიის შეჩერების და გაუქმების საფუძველები

1. ლიცენზიის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ლიცენზიის შეჩერების შემთხვევაში დაცვით ორგანიზაციას ეკრძალება შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის გაგრძელება.

2. ლიცენზიის შეჩერების საფუძველია:

ა) ნებართვების გამცემ ორგანოში დაცვით ორგანიზაციასა და მცველებს (მცველს) შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ასლების, მცველების რაოდენობის (აგრეთვე აღნიშნულ რაოდენობაში ცვლილებების) წარუდგენლობა, რომლებიც განახორციელებენ ობიექტის დაცვას;

ბ) მცველებთან ან დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების პირობების სისტემატიურად შეუსრულებლობა (მცველების ან დამკვეთის წერილობითი საჩივრის საფუძველზე);

გ) დაცვითი ორგანიზაციის მიერ ამ კანონის მოთხოვნების სისტემატიურად დარღვევა და შეუსრულებლობა;

დ) ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებში ცვლილებების შეუტყობინებლობა, თუ აღნიშნულ მონაცემებში ცვლილებების შეტანიდან გასულია ერთ თვეზე მეტი;

ე) დაცვითი ორგანიზაციის მიერ სხვა სახის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება;

ვ) ნებართვის გარეშე ობიექტის დაცვა.

3. ლიცენზიის შეჩერებისას ავტომატურად ჩერდება აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული ნებართვის მოქმედებაც. შეჩერებული ლიცენზიის განახლების შემთხვევაში ნებართვა ჩაითვლება განახლებულად. ნებართვის შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება ნებართვის მოქმედების საერთო ვადაში.

4. შეჩერებული ლიცენზია იმ შემთხვევაში აღდება თუ დაცვითი ორგანიზაციის მიერ სრულად იქნა გამოსწორებული ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ლიცენზიის შეჩერებას.

5. შეჩერებული ლიცენზიის განახლება ხდება ლიცენზიის გამცემი ორგანოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

6. ლიცენზია გაუქმდება თუ:

ა) დაცვითი ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების წინააღმდეგ, რაც დადასტურებული იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) ლიცენზიის აღების მიზნით წარმოდგენილი იყო ყალბი ინფორმაცია;

გ) ლიცენზიის შეჩერების პერიოდში დაცვითი ორგანიზაცია აგრძელებდა დაცვით საქმიანობას (აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევაში), თუ დაცვით ორგანიზაციას ერთხელ უკვე დაეკისრა ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებლობა;

დ) ლიცენზიის შეჩერების ვადის გასვლამდე დაცვითი ორგანიზაციის მიერ არ იქნა გამოსწორებული ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ლიცენზიის შეჩერებას;

ე) დაცვით ორგანიზაციას არ განუხორციელებია დაცვითი საქმიანობა ლიცენზიის აღებიდან 1 წლის განმავლობაში;

ვ) ლიცენზიის მფლობელი პირის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით დაადგენს ამ იურიდიული პირის ლიკვიდაციას;

ზ) მცველი დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების გარეშე ახორციელებს ობიექტის დაცვას ან აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემოვალი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული მცველის მოწმობის გარეშე;

თ) წარმოიშობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის გაუქმების რომელიმე საფუძველი.

### III. ნებართვის ბაცემის წესი

#### მუხლი 10. ცალკეული ობიექტის დაცვის უფლება

1. დაცვითი ორგანიზაცია ვალდებულია ცალკეული უძრავი ნივთის, ღონისძიების ან ფიზიკური პირის (მათ შორის ფიზიკურ პირთა ჯგუფის) დაცვის, ცალკეულ ობიექტზე დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლოატაციო მომსახურების განხორციელების უფლების მოპოვებისათვის აიღოს ნებართვა.

2. ობიექტის დაცვის უფლების მოპოვებისთვის საკმარისია მხოლოდ ერთი ნებართვის აღება თუ:

ა) დაცვითი საქმიანობა განხორციელდება ერთ მიწის ნაკვეთზე, მის ნაწილზე ან სივრცობრივად ერთმანეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის ნაკვეთის ნაწილებზე), აგრეთვე მათზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე – მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული უძრავი ნივთების მიმართ დაცვითი ღონისძიებების განხორციელებისას, აგრეთვე დაცვითი სისტემის დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლოატაციო მომსახურებისას დამკვეთი იქნება ერთი და იგივე პირი;

ბ) დაცვა განხორციელდება ერთი და იგივე შენობა-ნაგებობის სხვადასხვა სართულზე – მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული უძრავი ნივთების მიმართ დაცვითი ღონისძიებების განხორციელებისას, აგრეთვე დაცვითი სისტემის დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლოატაციო მომსახურებისას დამკვეთი იქნება ერთი და იგივე პირი;

გ) დაცვა ხორციელდება არსებითად ერთმანეთთან და დროში დაკავშირებული ღონისძიებების დაცვის მიზნით - მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი იქნება ერთი და იგივე პირი.

3. ნებართვის მიღებისთვის დაცვითმა ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს ნებართვის საფასური სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით, ნებართვის აღებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში შესაბამისი საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ნებართვა ჩაითვლება გაუქმებულად და ლიცენზიის მფლობელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ კანონით დადგენილი წესით.

### **მუხლი 11. ნებართვის მიღებისათვის წარსადგენი დოკუმენტები**

1. მაძიებელმა ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს უნდა წარუდგინოს:

ა) წერილობითი განცხადება რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

ბ) დაცვითი საქმიანობის ლიცენზია;

გ) დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულება;

დ) დაცვის ობიექტის, მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მოკვლევის აქტი, რომელიც აუცილებელია ამ კანონის მე-10 მუხლის მე - 2 პუნქტით განსაზღვრული საკითხების დაზუსტებისათვის;

ე) დაცვით ორგანიზაციასა და მცველებს (მცველს) შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ასლები და მცველების რაოდენობა რომლებიც განახორციელებენ ობიექტის დაცვას;

2. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით.

3. სანებართვო რეესტრის წარმოების, აგრეთვე ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი შეჩერების და გაუქმების წესი განისაზღვრება ამ კანონით.

4. თუ ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს ამ მუხლის I პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს ნებართვა გაიცემა მაძიებლის მიერ განცხადების შემოტანიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კანონით შეიძლება დაწესდეს ნებართვის გაცემის უფრო შემჭიდროებული ვადები.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ 10 დღიან ვადაში არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ნებართვა გაცემულად ჩაითვლება.

## **მუხლი 12. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები**

1. ნებართვა არ გაიცემა თუ:

ა) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ხარვეზი ნებართვის მაძიებლის მიერ;

ბ) ნებართვის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სანებართვო პირობებს;

გ) ობიექტის დაცვა ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაცვას;

2. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

## **მუხლი 13. ნებართვის მოქმედების ვადა**

ნებართვა გაიცემა დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადით, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

## **მუხლი 14. ნებართვის შეჩერების და გაუქმების საფუძვლები**

1. ნებართვის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ნებართვის შეჩერების შემთხვევაში დაცვით ორგანიზაციას ეკრძალება შესაბამისი ნებართვით განსაზღვრულ ობიექტზე დაცვითი საქმიანობის გაგრძელება.

2. ნებართვის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს დამკვეთის წერილობითი მომართვის საფუძველზე, თუ დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში დამკვეთი პასუხს აგებს დაცვითი ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანისათვის.

3. ნებართვის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს დაცვითი ორგანიზაციისთვის ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.

4. ნებართვის გაუქმების საფუძველია:

ა) დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა;

ბ) მე-13 მუხლით დადგენილი ვადის გასვლა;

გ) თუ დაცვითი ორგანიზაციის მიერ ნებართვის შეჩერების პერიოდში ხარვეზი არ იქნა გამოსწორებული.

## **IV. სახელშეკრულებო ურთიერთობები**

### **მუხლი 15. ხელშეკრულება დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის**

1. დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის ურთიერთობა წესრიგდება ამ კანონის, მოქმედი კანონმდებლობის და დაცვითი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე (შემდგომში – დაცვითი საქმიანობის ხელშეკრულება).
2. დაცვითი საქმიანობის ხელშეკრულება იდება დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას შორის.
3. დაცვითი საქმიანობის ხელშეკრულების სახეებია:
  - ა) ობიექტის დაცვის ხელშეკრულება;
  - ბ) დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟის და ექსპლოატაციის ხელშეკრულება;
  - 4) ობიექტის დაცვის ხელშეკრულებაში აღინიშნება:
    - ა) დაცვითი საქმიანობის სახეობა;
    - ბ) დაცვის კონკრეტული ობიექტის დასახელება/სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში, მისი სახელი და გვარი), მისამართი და სხვა დამატებითი მონაცემები;
    - გ) დაცვითი საქმიანობის არსი და პირობები;
    - დ) მესამე პირის თანხმობა, თუ დამკვეთი მესამე პირის სასარგებლოდ უკვეთავს ობიექტის დაცვას;
    - ე) დაცვითი მომსახურების გეგმა (განრიგი და გრაფიკი);
    - ვ) მცველების რაოდენობა;
    - ზ) ხელშეკრულების ფასი;
    - თ) ხარჯების ანაზღაურების წესი;
    - ი) მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა;
    - კ) დამკვეთისთვის ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირისათვის შესრულებული სამუშაოს შესახებ წერილობითი ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა;
    - ლ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
    - მ) მხარეთა სრული რეკვიზიტები.
  5. დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟის და ექსპლოატაციის ხელშეკრულებაში აღინიშნება:
    - ა) დაცვითი საქმიანობის სახეობა;
    - ბ) ცალკეული ობიექტის დასახელება და მისამართი, სადაც განხორციელდება დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტება, მონტაჟი და ექსპლოატაცია;
    - გ) ხელშეკრულების არსი და პირობები;
    - დ) მესამე პირის თანხმობა, თუ დამკვეთი მესამე პირის სასარგებლოდ უკვეთავს დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტებას, მონტაჟს და ექსპლოატაციას;
    - ე) ხელშეკრულების ფასი;
    - ვ) ხარჯების ანაზღაურების წესი;
    - ზ) მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა;
    - თ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
    - ი) მხარეთა სრული რეკვიზიტები.
6. ამ მუხლით განსაზღვრულ ხელშეკრულებაში შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე სხვა საკითხებიც, რომლებიც არ უნდა გაცდეს დაცვითი საქმიანობის ფარგლებს.

## მუხლი 16. დაცვითი მომსახურების გეგმა

1. დაცვითი მომსახურების გეგმა არის კონფიდენციალური დოკუმენტი, რომლის არსებობის შესახებ მიეთითება ამ კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში.
2. ობიექტის დაცვის ხელშეკრულების გაფორმებამდე, დამკვეთთან შეთანხმებით, დაცვითი ორგანიზაცია ადგენს დაცვითი მომსახურების გეგმას, რომელშიც შეიძლება აღინიშნოს:
  - ა) საყარაულო საგუშაგოების რაოდენობა და მათი განთავსების ადგილი;
  - ბ) მცველების რაოდენობა;
  - გ) დაცვითი აღჭურვილობა;
  - დ) დაცვის და სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალებები და მოწყობილობები;
  - ე) მოძრავი ნივთის ტრანსპორტირების ღონისძიებები;
  - ვ) საგუშაგო ინსტრუქციები და სხვა.
3. დაცვითი საქმიანობის გეგმა ხელმისაწვდომია სამართალდამცავი ორგანოებისათვის მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 17. ურთიერთობა მცველსა და დაცვით ორგანიზაციას შორის**

1. დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის ურთიერთობა წესრიგდება ამ კანონის და მოქმედი კანონმდებლობის, აგრეთვე დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და კონკრეტული ობიექტის დაცვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.
2. დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში აღინიშნება:
  - ა) ხელშეკრულების არსი;
  - ბ) შრომის ანაზღაურების ოდენობა, მისი გადახდის წესი და პირობები;
  - გ) მუშაობის განრიგი და გრაფიკი;
  - დ) დაცვითი ორგანიზაციის ვალდებულება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში დააზღვიოს მცველის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;
  - ე) მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა;
  - ვ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
  - ზ) მხარეთა სრული რეკვიზიტები.
3. ობიექტის დაცვის შესახებ ხელშეკრულებაში აღინიშნება:
  - ა) დაცვის კონკრეტული ობიექტის დასახელება/სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში, მისი სახელი და გვარი), მისამართი და სხვა დამატებითი მონაცემები;
  - ბ) დაცვითი საქმიანობის არსი და პირობები, რომელიც გამომდინარეობს დაცვით ორგანიზაციასა და დამკვეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან;
  - გ) დაცვითი საქმიანობის განრიგი და გრაფიკი;
  - დ) ხარჯების ანაზღაურების წესი;
  - ე) მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა;
  - ვ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
  - ზ) მხარეთა სრული რეკვიზიტები.
4. ამ მუხლით განსაზღვრულ ხელშეკრულებაში შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე სხვა საკითხებიც, რომელიც არ უნდა გასცდეს დაცვითი საქმიანობის ფარგლებს.

### **V. დაცვითი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობანი და მის საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები**

## მუხლი 18. დაცვითი ორგანიზაციის უფლებები

1. ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული ლიცენზიის მფლობელ დაცვით ორგანიზაციას უფლება აქვს:

- ა) ლიცენზიის ფარგლებში განახორციელოს დაცვითი საქმიანობა, გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებები დამკვეთთან და მცველებთან;
- ბ) იმოქმედოს ამ კანონით, მოქმედი კანონმდებლობით და მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თუ აღნიშნული ხელშეკრულებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;
- გ) მოსთხოვოს დამკვეთს და მცველს შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
- დ) დაცვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებლად სავალდებულო მითითებები და დავალებები მისცეს მცველს;
- ე) შესასრულებლად სავალდებულო მითითებები და დავალებები მისცეს მცველს იმ შემთხვევაშიც კი თუ ის არ გამომდინარეობს ობიექტის დაცვის შესახებ ხელშეკრულებიდან – მხოლოდ იმ პირობით, თუ აღნიშნული მითითებები და დავალებები წინააღმდეგობაში არ მოვა მცველთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებასთან და არ გამოიწვევს დამკვეთთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას;
- ვ) შეიძინოს იარაღი და სპეციალური საშუალებები, რომელიც აუცილებელი იქნება ობიექტის დაცვისათვის;
- ზ) შესაბამისი ნებადართული სიხშირეების გამოყენებით ისარგებლოს რადიოკავშირის საშუალებებით (რაციით);
- თ) განახორციელოს კანონმდებლობით ნებადართული ისეთი ქმედებები, რომელიც აუცილებელია ობიექტის დაცვისათვის და მისი უსაფრთხოებისათვის თუ აღნიშნული ქმედებები არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

## მუხლი 19. დაცვითი ორგანიზაციის ვალდებულებანი

1. ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული ლიცენზიის მფლობელი დაცვითი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ა) დაიცვას ამ კანონით და მოქმედი კანონმდებლობით, გათვალისწინებული მოთხოვნები;
- ბ) დაიცვას და სრულად შეასრულოს ამ კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნები (ვალდებულებები);
- გ) შეუქმნას მცველს შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები, პატივი სცეს მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, არ დაუშვას მისი ღირსების დამცირება ან შელახვა;
- დ) უზრუნველყოს მცველი სათანადო ინფორმაციით და ყველა საჭირო აღჭურვილობით, რომელიც აუცილებელი იქნება მცველის მიერ დაცვითი საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად შესრულებისათვის;
- ე) გააცნოს მცველს ეს კანონი, დაცვითი ორგანიზაციის წესდება, ობიექტის უსაფრთხოების წესები და სხვა საჭირო ინფორმაცია;

- ვ) უზრუნველყოს მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი მცველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ზ) ნებართვის გამცემ ორგანოს წარუდგინოს:
  - ზ.ა) სანებართვო მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ ინფორმაცია ცვლილებიდან ერთი თვის ვადაში;
  - ზ.ბ) ინფორმაცია დაცვითი ორგანიზაციის და მცველების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული იარაღისა და სპეციალური საშუალებების შესახებ, რომლითაც ხორციელდება ობიექტის დაცვა ნებართვის გაცემიდან ერთი თვის ვადაში;
  - თ) დაცვის ობიექტზე თავდასხმის ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციის და სხვა სათანადო ორგანოს;
  - ი) აწარმოოს მცველების კარტოთეკა და პირადი ბარათები;
  - კ) არ დაუშვას მის სახელზე გაცემული ლიცენზიით ან ნებართვით სხვა პირის მიერ სარგებლობა.

**მუხლი 20. დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვადები**

დაცვითი ორგანიზაცია ვალდებულია არანაკლებ 5 წლის ვადით შეინახოს:

- ა) დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელთა შენახვის ვადა აითვლება მათი მოქმედების ვადის გასვლის დღიდან;
- ბ) დამკვეთთან და მცველთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შენახვის ვადა აითვლება აღნიშნული ხელშეკრულებების ვადის გასვლის ან შეწყვეტის დღიდან.

**მუხლი 21. დაცვითი ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები**

დაცვით ორგანიზაციას უფლება არა აქვს:

- ა) დამალოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია დაცვის ობიექტთან დაკავშირებით (დაცვის ობიექტზე) ჩადენილი ან დაგეგმილი დანაშაულის შესახებ;
- ბ) წინასწარი შეცნობით განახორციელოს იმ ფიზიკური პირის დაცვა, რომლის საქმიანობა უკავშირდება დანაშაულებრივ საქმიანობას ან იმ უძრავი ნივთისა ან/და ცალკეული სახის დონისძიების დაცვას, სადაც ადგილი აქვს დანაშაულებრივ ქმედებებს;
- გ) დაცვითი საქმიანობის გარდა განახორციელოს სხვა სახის საქმიანობა;
- დ) განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი ოპერატიულ სამსახურსა და საგამოძიებო მოქმედებები;
- ე) დაცვითი საქმიანობის განხორციელების დროს ისარგებლოს ისეთი ქიმიური საშუალებებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

**მუხლი 22. დაცვითი ორგანიზაციის ხელმძღვანელი**

დაცვითი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს:

- ა) განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლელი პირი;

- ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;
- გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ცნობილია ქმედუუნაროდ;
- დ) საჯარო მოხელე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- ე) პირი, რომლის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს ინფორმაცია მისი ტერორისტულ ორგანიზაციასთან (ტერორისტთან), უკანონო შეიარაღებულ ფორმირებასთან ან სხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან (მათ შორის ქურდულ სამყაროსთან) კავშირის შესახებ;

## **VI. მცველის უფლება-მოვალეობები და საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები**

### **მუხლი 23. მცველის უფლებამოსილება**

1. მცველს უფლება აქვს დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელოს ობიექტის დაცვა.
2. მცველის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით და დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

### **მუხლი 24. მცველის საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვები**

მცველი არ შეიძლება იყოს:

- ა) განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი;
- ბ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;
- გ) პირი, რომელიც სასამართლო წესით ცნობილია ქმედუუნაროდ;
- დ) პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვს დაცვითი საქმიანობის სფეროში შესაბამისი თანამდებობის დაკავების ან შესაბამისი საქმიანობის უფლება;
- ე) საჯარო მოხელე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- ვ) პირი, რომლის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს ინფორმაცია მისი ტერორისტულ ორგანიზაციასთან (ტერორისტთან), უკანონო შეიარაღებულ ფორმირებასთან ან სხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან (მათ შორის ქურდულ სამყაროსთან) კავშირის შესახებ.

### **მუხლი 25. მცველის უფლება-მოვალეობანი**

1. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მცველს უფლება აქვს:
  - ა) აწარმოოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის ვიდეო და ფოტო გადაღება, გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები, თუ აღნიშნული ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას (თუ არსებობს დამკვეთისა და დაცვითი ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი თანხმობა);
  - ბ) ტერიტორიაზე უნებართვოდ მყოფ პირებს მოსთხოვოს მისი დატოვება;
  - გ) მოსთხოვოს პირს კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა და დაცვის ობიექტზე დადგენილი წესრიგის/რეჟიმის დაცვა, ხოლო სათანადო

აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს აღნიშნული ტერიტორიიდან მისი გაძევება;

დ) შეიპყროს დამნაშავე, დაცვის ობიექტზე თავდამსხმელი და დაუყოვნებლივ გადასცეს იგი პოლიციას;

ე) არ შეასრულოს დამკვეთის ან/და დაცვითი ორგანიზაციის ისეთი დავალებები, რომელიც ეწინააღმდეგება – მოქმედ კანონმდებლობას, ამ კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტში და მე-17 მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;

ვ) გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული იარაღი და ფიზიკური იძულების სხვა საშუალებები;

ზ) განახორციელოს კანონმდებლობით ნებადართული ისეთი ქმედებები, რომლებიც აუცილებელია დაცვის ობიექტის უსაფრთხოებისათვის.

2. ამ მუხლის I პუნქტით განსაზღვრული მცველის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ან გაფართოვდეს დამკვეთსა და დაცვით ორგანიზაციას ან/და დაცვით ორგანიზაციასა და მცველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით. აღნიშნული ხელშეკრულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

3. მცველი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, კეთილსინდისიერად შეასრულოს დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები;

ბ) დაცვის ობიექტზე თავდასხმის ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციის და სხვა სათანადო ორგანოს;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თან იქონიოს მცველის მოწმობა, ხოლო თუ თან აქვს იარაღი – იარაღის შენახვის/ტარების ნებართვა;

დ) დაიცვას მისი დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტი;

ე) დაცვის ობიექტიდან გააძევოს პირი, რომელიც:

ე.ა) უნებართვოდ იმყოფება დაცვის ობიექტზე;

ე.ბ) არღვევს დაცვის ობიექტზე დადგენილ წესრიგს/რეჟიმს;

ვ) დააკავოს დანაშაულის ჩამდენი პირი და დაუყოვნებლივ გადასცეს ის პოლიციას;

ზ) უფლებამოსილი ორგანოების მოსვლამდე დაიცვას დანაშაულის ადგილი და ქონება, თუ აღნიშნული ვალდებულება არ იწვევს სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას;

თ) სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სამართალდამცავ ორგანოებს დამნაშავეს შეპყრობაში და მართლწესრიგის დაცვის სხვა ღონისძიებების განხორციელებაში – თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ გამოიწვევს მცველის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას;

ი) შეინახოს დაცვის ობიექტთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გაახმაუროს ის, თუ აღნიშნული ინფორმაცია არ არის დანაშაულის ნიშნების შემცველი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების გარდა, მცველს დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება დაეკისროს სხვა ვალდებულებებიც, რომელიც არ უნდა გასცდეს დაცვითი საქმიანობის ფარგლებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

## VI. იარაღის და სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები

## მუხლი 26. მცველის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მცველს უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება, სატრანსპორტო საშუალება, წყალსატყორცნი, ელექტროშოკური მოწყობილობა, სასამსახურო ძაღლი, ინდივიდუალური კონტროლის ტექნიკური საშუალებები:

ა) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს მცველს ან ცდილობს გაქცევას;

ბ) რეზინის ხელკეტი – პიროვნებაზე, მცველზე ან დაცვის ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი აშკარად არ ემორჩილება მცველის კანონიერ მოთხოვნას;

გ) ცრემლსადენი გაზი – პიროვნებაზე, მცველზე, დაცვის ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით;

დ) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება – დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას;

ე) წყლასატყორცნი – დაცვის ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად;

ვ) ელექტროშოკური მოწყობილობა – პიროვნებაზე, მცველზე ან დაცვის ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

ზ) სასამსახურო ძაღლი - დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად.

2. მცველი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო უფროსს თუ ფიზიკური ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირი დაიჭრა ან დაზიანდა.

3. აკრძალულია ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი შეიარაღებულ თავდასხმას ახდენენ ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ მცველს, რაც საფრთხეს უქმნის პიროვნების ან მცველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

4. მცველს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და სხვა საერთაშორისო აქტებით.

## მუხლი 27. იარაღის გამოყენების უფლება

1. მცველს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს იარაღი.

2. მცველს უფლება აქვს უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს იარაღი:

ა) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

- ბ) იარაღის წართმევის აღსაკვეთად;
  - გ) დაკავების ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;
  - დ) დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს მცველს ან ცდილობს გაქცევას;
  - ე) დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოგერიებისას;
  - ვ) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;
  - ზ) განგაშის სიგნალის მისაცემად ან დამხმარე ძალის გამოსაძახებლად;
  - თ) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დასახიანებლად, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის დაცვის ობიექტს, მძღოლი კი არ ემორჩილება მცველის არაერთგზის მოთხოვნას გააჩეროს სატრანსპორტო საშუალება.
3. იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ; აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.
4. გაფრთხილების გარეშე იარაღის გამოყენება შეიძლება:
- ა) შეიარაღებული საბრძოლო ტექნიკით, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებებით მოულოდნელი თავდასხმისას;
  - ბ) თუ დაკავებული გაიქცა სატრანსპორტო საშუალებით, სატრანსპორტო საშუალებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის, ან ტყიან ადგილებში;
  - გ) თუ დამნაშავე დაკავების დროს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს;
  - დ) დაკავებულის შეიარაღებული გაქცევისას.
5. აკრძალულია იარაღის გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ ან აფეთქებასაშიშ ადგილებში, ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ესხმიან თავს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან მცველის სიცოცხლეს.
6. იარაღის გამოყენების შემთხვევაში მცველი მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.
7. მცველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალოდ უფროსს და შესაბამის ორგანოს რომ გამოიყენა იარაღი.

## VII. დაცვითი საქმიანობის კონტროლი და პასუხისმგებლობის ზომები

### მუხლი 28. დაცვითი საქმიანობის კონტროლი

1. დაცვით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ლიცენზიის ან/და ნებართვის გამცემი ორგანო ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი (შემდგომში – კონტროლის განმახორციელებელი ორგანო).
2. დაცვითი საქმიანობის კონტროლის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი ორგანო:
  - ა) ამოწმებს დაცვითი ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას ამ კანონით განსაზღვრულ სალიცენზიო და სანებართვო პირობებთან;
  - ბ) ამოწმებს დაცვითი ორგანიზაციისა და მცველების მიერ ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას;

გ) ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს დაცვით ორგანიზაციას, მცველს და ფიზიკურ პირს/იურიდიულ პირს.

3. დაცვითი საქმიანობის კონტროლის დროს ხორციელდება მხოლოდ სალიცენზიო და სანებართვო პირობების შემოწმება. კონტროლის განმასრვლებელ პირს უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო და სანებართვო პირობების დაცვასთან.

4. დაუშვებელია დაცვით საქმიანობაში დაუსაბუთებლად ზედმეტად ჩარევა და მისი საქმიანობის შეფერხება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისა.

### **მუხლი 29 პასუხისმგებლობის ზომები**

1. დაცვითი ორგანიზაციისათვის დაკისრებული სახდელის ოდენობა შეადგენს:

ა) 3000 ლარს – ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ა-ე ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების ერთჯერადად დარღვევისათვის;

ბ) 5000 ლარს – ლიცენზიის ან/და ნებართვის შეჩერების პერიოდში დაცვითი საქმიანობის განხორციელებისათვის.

გ) 10 000 ლარს – სათანადო ლიცენზიის ან/და ნებართვის გარეშე დაცვითი საქმიანობის განხორციელებისთვის;

2. სახდელის დაკისრებისას ლიცენზიის მფლობელს განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სალიცენზიო და სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის.

3. პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო და სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებული სახდელის გასამმაგებას.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სახდელი გადაიხდება ნებართვის გამცემი ორგანოს ანგარიშზე.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული სახდელის გადაუხდელობის შემთხვევაში, დარიცხული სახდელის იძულებითი წესით გადახდევინება განხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

## **VIII ბარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

### **მუხლი 30. გარდამავალი დებულებანი**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2009 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს:

ა) სალიცენზიო და სანებართვო მოწმობის ფორმების დამტკიცება;

ბ) მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცება.

2. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებენ დაცვით საქმიანობას, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება უნდარჩუნდებათ 2009 წლის 1 სექტემბრამდე.

### **მუხლი 31. დასკვნითი დებულებანი**

1. ეს კანონი, გარდა 30-ე მუხლისა ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან.
2. ამ კანონის 30-ე მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი